როგორ და რატომ ისწავლება სოციალური ინოვაციები უნივერსიტეტებში?

რა არის სოციალური ინოვაცია? ინტერნეტში მისი მრავალი განმარტება იძებნება. იქიდან გამომდინარე, რომ მისი ერთიანი განმარტება არ არსებობს, ქვემოთ რამდენიმე ვარიანტს შემოგთავაზებთ: პირველი, სოციალური ინოვაცია ეხება ახალ იდეებს, რომლებიც სოციალური მიზნების მიღწევას ემსახურება. მეორე, ეს არის სოციალური პრობლემის მოგვარების ახალი გზა, რომელიც არსებული გადაწყვეტილების მექანიზმებზე ბევრად ეფექტიანი, ეფექტური, მდგრადი და სოციალურად სამართლიანია და ამავე დროს ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესს. მესამე, სოციალური ინოვაცია ეძებს სოციალური პრობლემების გადაჭრის ახლებურ გზებს ახალი სერვისების შემუშავებითა და მიწოდებით, რომლებიც აუმჯობესებს ინდივიდებისა და საზოგადოების ცხოვრების ხარისხს. აღნიშნული განმარტებები იდენტურია და უბრალოდ სხვადასხვა სიტყვებით გადმოსცემს ერთ ძირითად არსს, რომელიც თავად ტერმინშივე ნათლად ჩანს - **სოციალური.** საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული - ეს იდეა ყველა განმარტებაში მკაფიოდ იკითხება და სოციალურს, თუნდაც ტექნოლოგიური ინოვაციებისგან, მკვეთრად გამოარჩევს, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინ ინოვაციაზე პირველ რიგში ალბათ ყველას სწორედ რომ ტექნოლოგიური პროგრესი გვახსენდება. იქიდან გამომდინარე, რომ სოციალური ინოვაცია ახლებურ გზებს ეძებს პრობლემის მოგვარების მიზნით, იგი მკაფიოდ უპირისპირდება კონსერვატიულ იდეებს, რომლებიც სტატუს ქვოს შენარჩუნებისკენ ან/და ტრადიციული გზებით პრობლემის გადაჭრას ესწრაფვიან.

რისგან შედგება სოციალური ინოვაცია? მას ხუთი ფუნდამენტური ელემენტი აქვს: 1- სიახლე, რაც სულაც არ გულისხმობს სრულიად ორიგინალურობას, ახალი შეიძლება იყოს განსხვავებული დამოკიდებულებაც ან/და განხორციელების გზაც. 2- პროცესი იდეიდან მის განხორციელებამდე, რაც იდეების პრაქტიკაში გარდაქმნის აუცილებლობას უსვამს ხაზს. 3- ეფექტურობა - იგი გულისხმობს, რომ ინოვაციური გზა არსებულზე ბევრად ეფექტური უნდა იყოს. 4- საზოგადოებაში არსებული სოციალური მოთხივნილების დაკმაყოფილება. 5- საზოგადოების ქმედითობის გაუმჯობესება - ეს უკანასკნელი ახალი როლებისა და ურთიერთობების ქსელების შექმნას, რესურსების განვითარებას, მისი გამოყენების ხელშეწყობას, მარგინალური

და არასაკმარისად წარმოდგენილი სოციალური ჯგუფების მონაწილეობის გაზრდას გულისხმობს. სოციალური ინოვაციების პრიორიტეტული მიზანი, რა თქმა უნდა, სოციალური ცვლილებაა, თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს მას ეკონომიკური ნაწილი სრულად აქვს ჩამოშორებული. მდგრადობისა და სტაბილურობისთვის იგი ეკონომიკურადაც უნდა იყოს გაძლიერებული. თუმცა, ძირითადი არსი მაინც საზოგადოებრივი პრობლემის გადაწყვეტასა და მისი ყოფის გაუმჯობესებისკენაა მიმართული. ევროკავშირის რეგულაცია N1296/2013 სწორედ სოციალურ ინოვაციებს ეხება და ნათლად მიუთითებს, რომ იგი მძლავრი ინსტრუმენტია ძირითადი სოციალური გამოწვევების მოსაგვარებლად, როგორებიც შეიძლება იყოს უმუშევრობა, განათლება, ჯანდაცვა თუ სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ინოვაციების განსახორციელებლად ინტერდისციპლინარული მიდგომაა საჭირო და შესაძლებელია სრულიად განსხვავებული სფეროების ცოდნასა და ამ სფეროებში გარკვეულ კომპეტენციებს საჭიროებდეს. **როგორ უნდა შევიძინოთ აღნიშნული კომპეტენციები?**- ეს ის კითხვაა, რომელზეც პასუხის გაცემას სწორედ ამ ბლოგში შევეცდებით.

სოციალურ ინოვაციებს ქართულ რეალობაში თუ შევხედავთ, მის მთავარ მხარდამჭერად არასამთავრობო ორგანიზაციები გვევლინება, რაც მოწმობს იმას, რომ ეკოსისტემას განვითარება და მხარდაჭერა ნამდვილად სჭირდება. მისგან განსხვავებულია ევროპის გამოცდილება, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, სახელწმიფო, ბიზნესი და განათლების სექტორი ერთობლივად ცდილობენ სოციალური ინოვაციების განვითარებასა და ხელშეწყობას. უნივერსიტეტების როლი განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება. მიუხედავად ამისა, სოციალურ ინოვაციებში ჩართული სხვა აქტორებისაგან განსხვავებით, აკადემიურ ლიტერატურაში უნივერსიტეტებზე, როგორც ცვლილების აგენტებზე ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული და სოციალური ინოვაციების კონტექსტში ძირითად აქცენტს მაინც ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციებზე აკეთებენ.

დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ უნივერსიტეტებს წვლილი შეიტანონ სოციალური ინოვაციების განვითარებაში, „მესამე მისიის“ კონცეფციის ფარგლებში განვითარდა. აღნიშნული მისია ხაზს საზოგადოების განვითარების პროცესში უნივერსიტეტის წვლილს უსვამს. ყურადღება ექცევა სოციალური პრობლემების მოგვარების პროცესში უნივერსიტეტის ჩართულობის ფორმებს. ეს შეიძლება იყოს მონაწილეობითი ან სამოქმედო კვლევა, სერვისული სწავლება,

სპეციალური ლაბორატორიები თუ სხვა, ყველაფერი ის, რაც საზოგადოების პრობლემების მოგვარებას უწყობს ხელს. უნდა ითქვას, რომ მესამე მისიის ზუსტი განსაზღვრა საკმაოდ პრობლემურია. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ იგივე განსაზღვრება გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობის ტრადიციულისაგან (სწავლება, კვლევა) განსხვავებულ ფორმას, მაშინ როცა, ის, რასაც უნივერსიტეტები მესამე მისიას უწოდებენ (უწყვეტი სწავლა, ღია კურსები) სხვა არაფერია თუ არა საგანმანათლებლო საქმიანობა, რაც მის პირველ მისიაში ისედაც იგულისხმება. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა ზოგადად გაგებულია, როგორც აქტიური მონაწილეობა ქვეყნისა და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების სხვადასხვა დონეზე. ღიაობა, რომელიც ამ პროცესში უნივერსიტეტს გააჩნია, ქმნის ბუნებრივ გარემოს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობის გაზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ასევე ზრდის უნივერსიტეტის გავლენას სოციალური განვითარების ფორმასა და ხასიათზე. უნივერსიტეტები სტუდენტებს გარკვეულწილად სხვადასხვა საგრანტო კონკურსსა თუ საგნის ფარგლებში სხვადასხვა პროექტს სთავაზობენ, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სოციალურ ინოვაციებთან. ფაქტობრივად, უნივერსიტეტები ერთგვარ ჰაბად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომლებიც აერთიანებენ სოციალური ინოვაციების ყველა დაინტერესებულ აქტორს და ხელს უწყობენ ეკოსისტემის განვითარებას. მიუხედავად ამისა მათი ძირითადი აქცენტი მაინც პირველ და მეორე მისიაზე აქვთ გაკეთებული, რაც სწავლებასა და კვლევებს გულისხმობს. მასზე მაქსიმალური ყურადღების გამახვილება და რესურსების მიმართვა კი აფერხებს სოციალური ინოვაციების პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ინოვაციების შემუშავების პროცესში უნივერსიტეტების როლს გაძლიერება სჭირდება, გარკვეული გავლენა მაინც აქვთ. ერთ-ერთი მთავარი ასპექტი, რასაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, ეს არის მრავალფეროვანი და ინოვაციებით სავსე გარემოს განვითარება. ამით სწორედ განათლების სოციალურ ასპექტებს ესმება ხაზი და ცენტრალური ადგილი უჭირავს ეკონომიკური ზრდის პროცესში. შესაბამისად გამოდის, რომ უნივერსიტეტი სოციალური ინოვაციების ხელშეწყობით განათლების სოციალური მიმართულებას აკავშირებს ეკონომიკასთან, რაც მთლიანად შრომის ბაზარსა და საზოგადოების კეთილდღეობაზე დადებითად აისახება. მის მნიშვნელობას მოწმობს The Times Higher

Education-ის მიერ გამოქვეყნებული უნივერსიტეტების რეიტინგის გამოთვლის წესიც. უნდა აღინიშნოს, რომ რანჟირების გამოთვლის წესში შეტანილი ცვლილებები გულისხმობს, რომ უნივერსიტეტები აკადემიური მიღწევების გარდა ასევე შეფასდებიან და ქულები მიენიჭებათ მათ მიერ განხორციელებული მდგრადი, ინოვაციური და სოციალური პროექტების მიხედვით. აღნიშნული ცვლილება კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს სოციალურ ინოვაციებს საზოგადოებისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რამდენად კარგად იქნებიან შეფასებულნი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რაც პირადპირ პროპორციულად აისახება მათ პოპულარობასა და შესაბამისად სტუდენტთა რაოდენობაზე, ისინი საკუთარი რეიტინგის გაზრდის მიზნით ერთვებიან სოციალური ინოვაციების განხორციელების პროცესში. ფაქტობრივად, რანჟირების სისტემაში ახალი ცვლადის შეტანა ხელს უწყობს მთლიანად ეკოსისტემის განვითარებას, რაც, რა თქმა უნდა, პოზიტიურ ცვლილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

კვლავ რომ დავუბრუნდეთ სოციალური ინოვაციის განმარტებას, იგი ნათლად აჩვენებს, რომ სერვისი თუ პროდუქტი, რომელსაც ვქმნით უნდა იყოს ინოვაციური და ამავე დროს, სოციალური ასპექტების მატარებელი. ვის შეუძლია შექმნას მსგავსი პროდუქტი? როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს შეუძლია ყველას, ინდივიდუალური პირიდან დაწყებული, საჯარო თუ კერძო უწყებით დამთავრებული. მაგრამ მაინც, რა გვჭირდება სოციალური ინოვაციის განსახორციელებლად? - ინტერდისციპლინარული ცოდნა და უნარები. როგორ უნდა ავითვისოთ იგი? შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ მსგავსი უნარები თანდაყოლილია და დაბადებიდან უბრალოდ ან გაქვს ან არა. რა თქმა უნდა, სოციალური ინოვაციის განსახორციელებლად საჭირო უნარების თანდაყოლილობის ასპექტს სრულად არ ვუგულვებელყოფთ, ხშირად ადამიანი ყოველგვარი უმაღლესი განათლების გარეშეა კრეატიული, თუმცა, მიუხედავად ამისა, უნდა ვთქვათ, რომ მათი დასწავლა შესაძლებელია. თუ ვიტყვით, რომ ინოვაციები დიდწილად აქტორების მიერ გამოცდილებისა და ცოდნის დაგროვებითაა გამოწვეული, რაც ძირითადად სწავლის გზით მიიღწევა, გამოდის, რომ სწორედ სწავლა უწყობს ხელს საჭირო უნარების განვითარებასა და კვალიფიკაციის მიღებას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შრომის პროდუქტიულობას, ტექნოლოგიურ წინსვლასა და სოციალური პრობლემების

მოგვარებაზე აისახება დადებითად. ზემოთ განხილული საკითხების მიხედვით აშკარაა თუ რამხელა გავლენა აქვს ან პოტენციურად შეუძლია იქონიოს უნივერსიტეტმა სოციალური ინოვაციების განხორციელების პროცესში. ასევე იკვეთება ამ პროცესში სწავლის მნიშვნელობა. სწავლა შესაძლოა ცალკეური სასერთიფიკატო კურსების ფარგლებშიც განხორციელდეს, რომელსაც მომხმარებელს არაერთი ორგანიზაცია სთავაზობს. თუმცა ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სასწავლო პროგრამებზე და იმაზე თუ როგორ მიმდინარეობს აღნიშნულ პროგრამებზე სწავლა/სწავლების პროცესი.

დღეისათვის აღიარებულია, რომ სწავლების „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომა თანამედროვეობაში არ აკმაყოფილებს მოსწავლის მოთხოვნილებებს. საგანმანათლებლო კურსების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა კრიტიკული საჭიროებაა, რათა შრომის ბაზრისთვის და თანამედროვე გამოწვევებისთვის მოამზადოს მოქალაქეები. სოციალური ინოვაციებიც სწორედ თანამედროვე გამოწვევების და პრობლემების ახლებურ გადაჭრას მოიაზრებს საკუთარ თავში. როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, იგი ინტერდისციპლინარულ უნარებსა და ცოდნას საჭიროებს, რაც ზოგჯერ თანდაყოლილი უნარია, თუმცა მისი სწავლება და განვითარება სავსებით შესაძლებელია. განათლების სისტემაში ხშირად ისმის კითხვა - როგორ მოვამზადოთ ახალგაზრდები 21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელი გამოწვევებისთვის? სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტები საზოგადოებას, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო კურსებს სთავაზობენ სოციალური ინოვაციების მიმართულებით. სოციალური ინოვაციების განხორციელებისთვის საჭირო უნარები პირდაპირ მიესადაგება თანამედროვე გამოწვევების მოგვარებისათვის საჭირო უნარებს. თანამედროვეობაში გაიზარდა მოთხოვნა იმგვარ სპეციალისტებზე, რომლებსაც არა მხოლოდ პროგრამის მართვა, არამედ სოციალურ ღირებულებებზე აქცენტირებული პროექტების შექმნა, ანალიზი და შეფასება შეუძლიათ. შესაბამისად, სასწავლო პროგრამებმა აქცენტი სწორედ ამგვარი უნარების ჩამოყალიბებასა და დახვეწაზე უნდა გააკეთონ. ეს უნარები კი სოციალური ინოვაციების შექმნის პროცესში მთავარ საკვანძო ასპექტებს წარმოადგენენ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალური ინოვაციის შექმნის პროცესი მეთოდოლოგიური სიმკაცრით ხასიათდება. ინოვაციამ უნდა უპასუხოს საზოგადოების კონკრეტულ მოთხოვნას. შესაბამისად, ამისთვის პირველ რიგში უნდა განისაზღვროს თუ რა არის ახალი სოციალური საჭიროება, რომელიც არ არის დაკმაყოფილებული და გადაჭრილი. სწორედ დიაგნოზის სწორად დასმა განაპირობებს შემდეგ ნაბიჯებს, რომელიც უკვე პრობლემის მოგვარებაზე მუშაობას გულისხმობს. თითოეული ნაბიჯი ადეკვატურად უნდა პასუხობდეს მოცემულ გამოწვევას და უნდა მოიცავდეს ეფექტურობისა და საზოგადოებაზე გავლენის შეფასების კრიტერიუმებს. თუ აღნიშნული ნაბიჯები სწორად არ გადაიდგმება, სწორად არ დადგინდება რეალური პრობლემა და ის თუ რომელი გზაა ამ პრობლემის მოგვარებისთვის ყველაზე ეფექტიანი, ნებისმიერი სერვისი რესურსების ფუჭი კარგვა იქნება. სწორედ შეზღუდული რესურსების ფარგლებში ეფექტიანი მოქმედებისთვისაა საჭირო ზუსტად ვიცოდეთ რა და როგორ გავაკეთოთ და ვფლობდეთ ამ პროცესისათვის ყველა საჭირო უნარს. ამის მიღება და გამომუშავება კი სწორედ საუნივერსიტეტო პროგრამებით შეგვიძლია.

ალიკანტეს უნივერსიტეტის მაგალითზე, რომელიც ესპანეთში მდებრეობს, თუ განვიხილავთ სოციალური ინოვაციების სამაგისტრო პროგრამას, ნათელი გახდება თუ ზუსტად რას და რატომ გვთავაზობს აღნიშნული პროგრამები და რატომ არის უნივერსიტეტში სწავლა უბრალოდ იღბალს მინდობაზე უკეთესი. პროგრამა თეორიულ, მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ და გამოყენებით ცოდნაზეა ორიენტირებული. კურსის ფარგლებში პირველად აქცენტი თეორიულ საფუძლებზე კეთდება. აღნიშნული ტიპის საგნები სტუდენტებს სოციალური ინოვაციების ძირითად ასპექტებს აცნობს და მოიცავს მოკლე, მაგრამ აუცილებელ ისტორიულ მიმოხილვას იდეის შესახებ. ყურადღება ეთმობა ასევე სოციალური ნდობის ეკონომიკურ განზომილებას და მის ურთიერთობას ბაზრებთან. როგორც ზემოთაც არაერთხელ აღვნიშნეთ, სოციალური ინოვაციები ეკონომიკური ასპექტებისაგან სრულად განცალკევებული არ არის, რადგან მდგრადობისათვის მას სჭირდება ეკონომიკურადაც სტაბილური იყოს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღება გამახვილებულია საზოგადოების როლზე საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში, როგორც ერთ-ერთ წამყვან აქტორზე საზოგადოებისა და მმართველობის განვითარების პროცესში. იქიდან გამომდინარე, რომ მათ უნდა გააანალიზონ საზოგადოების

საჭიროებები და შეიმუშაონ კონკრეტული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, აუცილებელია ქონდეთ მყარი თეორიული ცოდნა, რათა შეძლონ რეალობის სწორად აღქმა და კრიტიკული ანალიზი. სწორედ აღნიშნულ კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარებას უწყობს ხელს სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების სწავლება. კვლევის მეთოდების ცოდნა კრიტიკული აუცილებლობაა, რადგან ის ეხმარება სწორად მოახდინონ პრობლემისა და ბენეფიციართან საჭიროებების იდენტიფიცირება. აღნიშნულის გარეშე, შეუძლებელია სწორი და ეფექტიანი პროგრამებისა თუ სერვისების შემუშავება. რაც შეეხება საგნების ბოლო, მესამე ბლოკს, იგი ტექნიკური და გამოყენებითი ცოდნის გადაცემაზეა ორიენტირებული. პროგრამის ფარგლებში აქცენტი კეთდება დიზაინ აზროვნებაზე, მეთოდოლოგიებზე, რომლებიც ორიენტირებულია მომხმარებლებზე ორიენტირებულ დიზაინზე. ამავე დროს დიდი ყურადღება ექცევა სოციალური მედიის ანალიზსა და მართვას. სოციალური მედიის მართვის ცოდნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი გვეხმარება საკუთარი სერვისისა თუ პროდუქტის საზოგადოებისათვის წარდგენასა და რეალიზაციაში.

მართალია არ გვაქვს ოფიციალური სტატისტიკა, თუ რომელი უნივერსიტეტი გვთავაზობს სოციალური ინოვაციების საუკეთესო კურსს, თუმცა ვეცდებით ამერიკის შეერთებული შტატებიდან რამდენიმე მათგანი მოკლედ მაინც გაგაცნოთ. პირველი ეს არის სან დიეგოს უნივერსიტეტი და მისი შემოთავაზებული სამაგისტრო პროგრამა სოციალურ ინოვაციებში. უნივერსიტეტი მომავალ სტუდენტებს პირდება, რომ რეალურ პრობლემებზე სრულიად სხვა კუთხით დააფიქრებთ და ასწავლით, როგორ გარდაქმნან იდეები წარმატებულ პროექტებად. მეორე სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტია. აქ აქცენტი გაკეთებულია სოციალური და ფინანსური მიზნების ბალანსზე და მეტად მიესადაგება სოციალურ მეწარმეობას. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამასაც სწორედ სოციალური მეწარმეობა ჰქვია. მესამე ადგილს კლარემონტ ლინკოლნის უნივერსიტეტი იკავებს. უნივერსიტეტის სასწავლო კურსი სტუდენტებს ასწავლის, როგორ შექმნან ისეთი სოციალური პროექტები, რომლებიც საზოგადოებაზე მოახდენენ დადებით და მდგრად გავლენას. მეოთხე - ამერიკული უნივერსიტეტია. ფაქტობრივად აღნიშნული უნივერსიტეტიც სოციალური მეწარმეობის ლიდერების აღზრდას ემსახურება, თუმცა სხვა უნივერსიტეტებისაგან იმით განსხვავდება, რომ პროგრამის ონლაინ გავლას სთავაზობს. და ბოლოს, ჯორჯ მესონის უნივერსიტეტია. უნივერსიტეტი სტუდენტებს ჰპირდება, რომ კურსის

დასრულების შემდგომ, ისინი ყველა იმ უნარით იქნებიან აღჭურვილნი, რომლებიც პრობლემის ანალიზისთვისა და მის გადასაჭრელად სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელებისთვისაა საჭირო.[1]

და ბოლოს, როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდანაც ირკვევა, სოციალური ინოვაცია საზოგადოების განვითარებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია. უნივერსიტეტები კი ამ პროცესში საკვანძო როლს ასრულებენ. მართლაც, შესაძლებელია სოციალურმა ინოვაციურმა პროგრამებმა მეტი სარგებელი მოიტანოს და მიაღწიოს უფრო დიდ მასშტაბებს თუ მისთვის საჭირო უნარების სწავლება უკეთ იქნება ინტეგრირებული კურიკულუმენში და შეიქმნება ბევრად მეტი სასწავლო კურსი. ამასთანავე, უნივერსიტეტების რანჟირების გამოთვლის წესში სოციალური ინოვაციის, როგორც ერთ-ერთი ცვლადის დამატება, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საზოგადოებისათვის მის მნიშვნელობასა და პროცესში უნივერსიტეტის როლს.

[1] https://www.technologyhq.org/top-5-social-innovation-programs-united-states/